ლევან ხარაბაძემ აგვისტოს ომის დროს დაღუპულ 17 გმირის ხსოვნას პატივი მიაგო

11 აგვისტო 2024

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ხარაბაძემ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან, მთავრობის წევრებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, შინდისში, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულ 17 გმირის ხსოვნას პატივი მიაგო. შინდისში დაღუპული მებრძოლების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა.

2008 წლის 11 აგვისტოს საოკუპაციო ძალების ქვედანაყოფთან უთანასწორო შეტაკების დროს შინდისში საქართველოს თავდაცვის ძალების მე-2 ქვეითი ბრიგადის 17 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.